
ემიგრანტი მწერლები და კულტურულ-ლიტერატურული კავშირები
სხვადასხვა ეპოქათა კონტექსტში
Emigrant Writers and Cultural-Literary Connections in Various Historical Contexts

Tamar Barbakadze

თამარ ბარბაკაძე

TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

***The Crucified Verse* – Two Poetry Collections with the Same Title**

(Lyrics by David Kurulishvili and Meri Bitsadze)

„ჯვარცმული ლექსი“ – ორი კრებული ერთნაირი სათაურით

(დავით ყურულიშვილისა და მერი ბიწაძის ლირიკა)

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10803>

Émigré poets frequently express a profound sense of tragedy in their works, which serves as a link between lyricists of different epochs. It is noteworthy that the kind of emigration – whether it be leaving one’s native country or a feeling of internal exile and alienation – does not diminish the severity of the tragedy and deep-seated loneliness.

The spirit of émigré poetry, as reflected in the collection *The Crucified Verse* by both David Kurulishvili and Meri Bitsadze can be summarized as a painful and tragic longing for one’s own individuality, identity, and a “spiritual bridge” to the reader.

The majority of David Kurulishvili’s collection *The Crucified Verse* published in 1996, consists of sonnets.

Keywords: The Crucified Verse, “spiritual bridge”, “windows of her soul”

საკვანძო სიტყვები: ჯვარცმული ლექსი, სულიერი ხიდი, შინაგანი ემიგრაცია

ემიგრანტ პოეტთა შემოქმედებაში გამოკვეთილი ტრაგიზმის განცდა ხშირად ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ეპოქის ლირიკოსებს. საყურადღებოა, რომ ემიგრაციის ნაირსახეობა – სამშობლოდან გადახვეწა თუ შინაგანი ემიგრაციის, განმარტოების განცდა – ბევრად არ ცვლის ტრაგიზმის, სულიერი ობლობის სიღრმეს.

დავით ყურულიშვილი (1907-1994) და მერი ბიწაძე (1929-2006) სხვადასხვა მიზეზით აღმოჩნდნენ ემიგრანტები, თუმცა ორივე პოეტის ლექსების ერთადერთ კრებულს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ერთნაირი სათაური აქვს: „ჯვარცმული ლექსი“.

შინაგანი ემიგრაციის ტყვე პოეტი, მერი ბიწაძე, 1992 წლის 7 ნოემბრით დათარიღებულ ლექსში წერს: „იქნებ სამშობლომ ოდესმე მაინც სცნოს, / დაიფაროს ჯვარცმული ლექსი“. დავით ყურულიშვილი კი რიტორიკულ კითხვას სვამს: „დრომ პოეზია ჯვარზე რად გაცვა?!“

ემიგრანტული პოეზიის სულისკვეთება ორივე პოეტის, დავით ყურულიშვილისა და მერი ბიწაძის, კრებულების „ჯვარცმული ლექსის“ მეშვეობით, შეიძლება, განზოგადდეს: მკითხველამდე მისვლის, „სულიერი ხიდის“, საკუთარი ინდივიდუალობის, იდენტობის მტკივნეული, ტრაგიკული მონატრება.

ქართველმა მკითხველმა მერი ბიწაძის კრებული „ჯვარცმული ლექსი“ (გამომცემლობა „მწიგნობარი“, რედაქტორი თამარ შაიშმელაშვილი) მოგვიანებით, ავტორის გარდაცვალების მერე, გაიცნო. ასე ხშირად ხდება: თბილისიდან შორს, საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში, ბევრი გამორჩეული ნიჭის პოეტი ქმნის „აალებულ ყვავილებს“ (მერი ბიწაძის „ჯვარცმული ლექსის“ გარეკანს მათ კოლიშოუს სურათი ამშვენებს ფოტოსერიიდან „აალებული ყვავილები“, 2004).

„ჯვარცმული ლექსი“ კრებულია მერი ბიწაძის (1929-2006 წწ.) ამქვეყნიური ცხოვრების იმ დღეებისა, როდესაც გაუსაძლისი ტკივილით შებოჭილი სული ლექსად გარდაიქმნებოდა. პოეტი ლექსით სატკივრის დაამებას თანასოფლელებს, კარდენახელებსაც, ასწავლიდა:

მერი ბიწაძის ლექსში გაერთიანებული ზეცა და მიწა ყველაზე საიმედო თავშესაფარია მკითხველისათვის, რომელიც სულის სიმშვიდესა და ჰარმონიას პოულობს ამ ტანჯული ქალის სტრიქონებში:

ზეცა მიწაზე ჩამოღვრილი,
ფეხთ მიფენია,
ქვეყნად რამდენიც ფანჯარაა,
მზეც იმდენია...
(„ზეცა მიწაზე ჩამოღვრტილი“.
ბიწაძე, 2003, გვ. 28)

შეიძლება თამამად გამოვალთ მერი ბიწაძის ლექსების ფანჯრები და მზის სინათლე შემოვუშვათ საკუთარი თუ ზოგადსაკაცობრიო სევდის განსაქარვებლად.

მზე და მთვარე – მცველი და მოწმეა, საზომი და ასპარეზია ლირიკული გმირისათვის, რომელსაც სწამს, რომ „თებერვლის მთვარემ გადაჩეხა / ხრამში ურჩხული, / ქარი სიმღერით დახეტილობს / როგორც ქურხული...“ მზე, მთვარე და ქარი – მეტაფორებია: ზეცის მიერ დაწესებული დღისა და ღამის დარაჯების, ადამიანთა მფარველების, რომელთა გასაგონად მღერის ქარი – პოეტი:

კი არ გავჩუმდი,
ქარივით ჩავდექ
და სიმღერებად ამოვვარდები...
(„კი არ გავჩემდი“ . ბიწაძე, 2023, გვ. 27)

ილიკო ქურხულის, XX ს. II ნახევრის საქართველოს სახალხო მომღერლის, ხსენება და საკუთარი თავის მასთან გათანაბრების სურვილიც არ არის მოულოდნელი: სტიქიურად, დაუმორჩილებლად მოსული სახე-ხატები ხალხის გასაგონად უნდა გამოფენილიყვნენ:

სიცოცხლის ტრფიალს
ასე უბრალოდ ვერ დავეხსნები...
კვლავ მზის ნათელზე გამოუსვლელი
მებჯინებიან ყელში ლექსები.
(„იქნებ“ . ბიწაძე, 2023, გვ. 44)

1992 წლის 2 ნოემბრით დათარიღებული: „მე იშვიათად რატომ ვწერ ლექსებს“ ასეთი ნატვრით, იმედით სრულდება:

იქნებ სამშობლომ ოდესმე მაინც
სცნოს,
დაიფაროს ჯვარცმული ლექსი...
(„მე იშვიათად რატომ ვწერ ლექსებს“.
ბიწაძე, 2023, გვ. 149)

ეს გაცნობა „ჯვარცმული ლექსისა“ ნაგულისხმევია გარეკანის ბოლო გვერდზე მოთავსებული უსათაურო ლექსში, მერი ბიწაძის ავტოგრაფით რომ არის შესრულებული:

ერთ მშვენიერ მზიან დღეში
დრო დადგება სინანულის
და იფეთქებს ცხელი ლექსი,
დაწერილი მტკივან გულით.
გადაქცეულს მთვარის გზებზე
ხოტბას შემაწევენ რამდენს...
გვიან დამიწყებენ ძებნას
გვიან დამაყრიან ვარდებს.
(„ერთ მშვენიერ მზიან დღეში“,
ბიწაძე, 2023)

მერი ბიწაძის ეს ლექსი მაღალი შაირით (4/4) არის შესრულებული, თუმცა მეორე სტროფის ფინალურ სამტაეპედში ინტონაციას იცვლის და იშვიათი რიტმული სვლით (2/4/2) „ვეფხისტყაოსნის“ ერთ გამორჩეულ ტაქსს შეგვახსენებს:

„ასე სულთქმით და ვაებით: მით ვართ ცრემლისაცა დენით“. (4/4/2/4/2)

მერი ბიწაძე: „ხოტბას შემაწევენ რამდენს“. (2/4/2).

პოეტის გარდასახვა „მთვარის გზებზე“ მკითხველს მის ძებნას აიძულებს და იპოვის კიდეც მთვარიან ღამეს; მერი ბიწაძის რიტორიკული შეკითხვაც:

ნუთუ დამთავრდა მიჯნურთ ზღაპარი
და საოცნებოდ აღარ ღირს მთვარე?
(„***ღრუბლის კარავი ლექსად იღვრება“.
ბიწაძე, 2023, გვ. 148)

– საბედნიეროდ, პასუხგაცემულია.

სასიხარულოა, როდესაც „სულიერი ხიდი“ და ფანჯარა მკითხველს საშუალებას აძლევს, მერი ბიწაძის ლექსებამდე მივიდეს.

აღბათ, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ 1996 წელს ქართველმა მკითხველმა გაიცნო პოეტი დავით ყურულიშვილი (1907-1994 წწ.), რომლის კრებულსაც „ჯვარცმული ლექსი“ ჰქვია და უძღვის როსტომ ჩხეიძის წინასიტყვაობა: „მოთქმა სიმწუხარეში“. ეს უნებლიე დამთხვევა ლექსთა კრებულების სათაურებისა, აღბათ, იმით აიხსნება, რომ ორივე პოეტი ემიგრანტია: დავით ყურულიშვილი უცხოეთში აღესრულა: „დავით ყურულიშვილი ემიგრანტთა ერთ ტალღას გაჰყვა საზღვარგარეთ (XX ს. 20-იან წლებში), რათა შინდაბრუნების ოცნებაში დაეღია სული“ (რ. ჩხეიძე); მერი ბიწაძე კი შინაგანი ემიგრაციის მსხვერპლი აღმოჩნდა: ვერ შეძლო საკუთარი სულის ფანჯრები ფართოდ გამოეღო და მკითხველს შეხმთანებოდა.

დავით ყურულიშვილი საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე, განისვენებს, მერი ბიწაძე კი კახეთში, სამშობლოში დაკრძალული, შინაგანი ემიგრაციის მსხვერპლად აღიარებული, რადგან

ვერ შეძლო საკუთარი „სულის ფანჯრები“ ფართოდ გამოედო საქართველოში იმ დროს დატრიალებული ტრაგედიის, პოლიტიკური ქარტეხილების გამო.

დავით ყურულიშვილის 1996 წელს გამოცემულ კრებულში „ჯვარცმული ლექსი“ უმრავლესობა სონეტია. იგრძნობა გრიგოლ რობაქიძისა და „ცისფერყანწელთა“ პოეზიის გავლენა. ლირიკა მხოლოდ ერთი ნაწილია ამ ემიგრანტის მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობისა.

დავით ყურულიშვილის „ჯვარცმული ლექსი“ ლირიკის ქანრისათვის ნიშანდობლივი, ემოციური მეხსიერების, სიმძაფრით გამოირჩევა. პოეტი თვითდახასიათებას მიმართავს და, საკუთარი პოეზიის თავისებურებაზე მსჯელობისას, ორიგინალური მეტაფორის მეშვეობით ქმნის ახალ მხატვრულ სხეს, პარადიგმას, რომლის მეშვეობით ლექსის არსის განსაზღვრას ცდილობს:

მეც მახალისებს კარგი შემთხვევა
და პოეზიის აღზევანს ვხედავ –
ნატვრა – სიხარულს ვნებით ემთხვევა
და საიდუმლოს გამხელას ვბედავ:
ყველამ იცოდეს, მარილის ნაცვლად
აქედან მომაქვს სიტყვის მადანი –
რადგანაც მუზამ დღეს დამიმარცვლა
ლექსი – გულიდან გამონატანი!

(„გზა, ოცნებიდან – აღზევებამდე“.

ყურულიშვილი, 1996, გვ. 40)

მიუხედავად იმისა, რომ „ლექსი – გულიდან გამონატანი“ პაოლო იაშვილის ცნობილი შედეგის ტაეპს მოგვაგონებს, დავით ყურულიშვილის „პოეზიის აღზევანი“ ნამდვილად მეტყველებს ემიგრანტი პოეტის ნიჭსა და პოეზიის არსის ცოდნაზე. აღზევანი – აღზევება დავით ყურულიშვილის აღმორჩენაა: სიტყვის, ლექსის მადლი, მარილი – აღზევანიდან მოტანილი, ხალხური ლექსის მიხედვით, ოცნების მწვერვალზე ასვლას უთანაბრდება:

მე არ მეღირსა აღზევანს წასვლა,
მე არ მინახავს თვით აღზევანი
მაგრამ ოცნების მწვერვალზე ასვლა
ვიგემე, როგორც ყურძნის მტევანი!

(„გზა, ოცნებიდან აღზევებამდე“.

ყურულიშვილი, 1996, გვ. 39)

მერი ბიწაძის სახელი კი მხოლოდ ამ ერთი კრებულით შემორჩება ისტორიას ორიგინალური ალეგორიული სახეებითა და მეტაფორებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბიწაძე, მ. (2023). ჯვარცმული ლექსი. თბილისი: „მწიგნობარი“.

ყურულიშვილი, დ. (1996). ჯვარცმული ლექსი, თბილისი: შპს გამომცემლობა „კვარი“.

References:

Bits'adze, M. (2023). Jvartsmuli leksi. [Crucifixion Poem]. Tbilisi: „mts'ignobari“.

Q'urulishvili, D. (1996). Jvartsmuli leksi. [Crucifixion Poem]. Tbilisi. shp's „k'vari“.